

## გამოყენებელი უპირატესობა

თბილისი. “ბურვესტნიკის” სტადიონი. 3 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (კიევი) 0:1 (0:1).

“დინამო” (კიევი): მაკაროვი, კოლცოვი, შჩეგოლოვი, შჩერბაკოვი, ვოინოვი, ტურიანჩიკი, ბიბა, სერებრიანკოვი, კანევსკი, ტროიანოვსკი (საბო), ლობანოვსკი.

“დინამო” (თბილისი): კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა, გ. სიჭინავა, ხელაძე, დათუნაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე, მესხი.

მსაჯი ე. კლავსი (რიგა).

მწელია გაუკეთო ანალიზი მატჩს, სადაც ერთ გუნდს აბსოლუტური უპირატესობა აქვს 90 წუთის განმავლობაში, მოწინააღმდეგე თითქმის მიჯაჭვული ჰყავს მის საჯარიმო მოედანზე, რომლის ფარგლებში თვლა არა აქვს არა მარტო ე.წ. სახიფათო მომენტებს, არამედ გოლის გატანის უქველ, 100-პროცენტთან შესაძლებლობებს, მაგრამ მინდვრიდან საბოლოოდ გამარჯვებული მიდის ის, ვინც ყრუ დაცვაში იჯდა, ხოლო იგი, ვინც გამარჯვების ღირსი იყო, თავჩაქინდრული ჩადის გასახდელში.

ჩვენ არაერთხელ ვყოფილვართ იმის მოწმე, რომ თბილისის “დინამოს” ფეხბურთელებს სერიოზული უპირატესობით ჩაუტარებიათ თამაშები, მაგრამ ამ უპირატესობის პრაქტიკული რეალიზაცია ვერ მოუხერხებიათ და მხოლოდ მინიმუმს დასჯერებიათ, მაგრამ განვლილი მატჩი ამ შემთხვევაშიც კი გამოწვევის წარმოადგენს. მას მხოლოდ თასის შარშანდელი ფინალური მატჩი შეიძლება შევუდაროთ, სადაც ასევე უმოწყალოდ იკარგებოდა უამრავი მომენტი და თბილისის “დინამო” შუა მინდორზე მოგებულ მატჩს აგებდა კარის სიახლოვეს.

რა თქმა უნდა, მოურიდებელი საყვედურის ღირსია მსაჯი ე. კლავსი, რომელმაც მე-3 წუთზე ვერ გაბედა დაენიშნა კიეველთა კარში აშკარა და უდავო 11-მეტრიანი საჯარიმო. კარის სიახლოვეს მარტოდმარტო გასული მესხი მცველმა ხელით დაიჭირა უკნიდან და კარგა ხანს ჰყავდა იგი ასე ჩაბღუჯული. ეს იყო პენალტი, რომელიც თვალსაჩინო ნიმუშად გამოდგებოდა დამწყები მსაჯებისათვის, მაგრამ ე. კლავსმა ყოველგვარი რეაგირების გარეშე უყურა ამ “დაჭერობანას” და... გააგრძელა თამაში. ზუსტად ერთი წუთის შემდეგ ბიბამ მარჯვენა ფლანგიდან ძლიერად დაარტყა კარში, კოტრიკაძემ შეცდომა დაუშვა ადგილის შერჩევაში და ბურთი შეუფერხებლად ჩაეშვა შორეულ კუთხეში \_ 1:0.

ამ გოლის გაქვითვისათვის იბრძოდა თბილისის “დინამო” დარჩენილი 85 წუთის მანძილზე. თუ პირველ ტაიმში თამაშს ასე თუ ისე ჰქონდა ორმხრივი იერიშების ხასიათი, მეორე ტაიმი საერთოდ ცალ კარში ჩატარდა. კიეველთა მხარეს გაუთავებლად ინიშნებოდა კუთხური დარტყმები, საჯარიმოები, სტუმრები ყოველ წუთში იყვნენ ხიფათის წინაშე, გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, მეკარე მაკაროვი, რომელიც საუკეთესო იყო მინდორზე, განუწყვეტლივ ებრძოდა მოწინააღმდეგე ფორვარდებს, მაგრამ კიევის “დინამო” გადარჩა გოლს და მოიგო ეს უმძიმესი მატჩი \_ 1:0.

რასაკვირველია, სპორტული ბედი (თუ ასეთი არსებობს) ამ დღეს აშკარად უდიდოდა კიეველებს და მწყრალად იყო თბილისელებზე, რომლებსაც ასპროცენტის უპირატესობა ჰქონდათ თამაშში, მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ შეადგენს მატჩის არსს. ფაქტია, რომ ჩვენი ფორვარდები ზედმეტ აზარტულობას იჩენენ კარის სიახლოვეს, ვერ პოულობენ ყველაზე იოლ, ლოგიკურ გზას კარის აღებისათვის. აღნიშნულ მატჩში ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენდნენ იამანიძე, კალოევი და პირველ ყოვლისა მესხი.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მატჩი კიევის “დინამოსთან” ჭკუის სასწავლებელი იქნება ჩვენი გუნდისათვის.

**რ. ქორიძე**

“ლელო”, 5 სექტემბერი, 1961 წ.